პროექტი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია 3 თვის ვადით.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ:

ა) მეჭიაური თამაზ (კომისიის თავმჯდომარე) – ფრაქცია „ქართული ოცნება";

ბ) კოპალიანი კარლო – ფრაქცია „ქართული ოცნება";

გ) ებანოიძე ნოდარი – ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები";

დ) კვიჟინაძე პაატა - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები";;

ე) მაისურაძე თემური - ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმი";

ვ) კიკნაველიძე პაატა - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები";

ზ) სამხარაული გელა – ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატები";

თ) ვაშაძე გიორგი – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";

ი) მელიქიშვილი ზურაბი – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";

კ) ლეჟავა პაატა – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";

ლ) ბობოხიძე აკაკი – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები";

მ) ჩილინგარაშვილი ზურაბი – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები";

ნ) გოზალიშვილი გიორგი – ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები";

ო) შერვაშიძე იაშა - დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე — დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,
2013 წლის -- დეკემბერი.
№